

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №63 2015 წლის 21 დეკემბერი

ქ. გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 10 დეკემბრის №04/2867 მომართვის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

მიღებულ იქნეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

ა) შემოსავლების ნაწილში 11 668,6 ათ. ლარის ოდენობით

1) გადასახადები 6300,0 ათ. ლარის ოდენობით.

ა. საშემოსავლო გადასახადი 2000,0 ათ. ლარი.

ბ. ქონების გადასახადი 4300,0 ათ. ლარი.

2) გრანტები 2389,5 ათ. ლარის ოდენობით. აქედან:

ა. გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარება მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად 260,0 ათ. ლარი.

ბ. 2129,5 ათ. ლარი გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარება გათანაბრებითი ტრანსფერი.

3) სხვა შემოსავლები 2979,1 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 3

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არაფინანსური აქტივების კლება 1000,0 ათ. ლარი.

მუხლი 4

მიღებულ იქნეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 12668,8 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 5

დამტკიცდეს 2016 წლის საბიუჯეტო დაწესებულებათა საშტატო მუშაკთა შრომის ანაზღაურების წლიური ფონდი 3014,3 ათ. ლარი.

მუხლი 6

დამტკიცდეს 2016 წლის საბიუჯეტო დაწესებულებათა შტატგარეშე (ხელშეკრულებით) მომუშავეთა ანაზღაურების წლიური ფონდი 348,9 ათ. ლარი.

მუხლი 7

დამტკიცდეს 2016 წლის მივლინების ხარჯები 7 ათ. ლარი.

მუხლი 8

დამტკიცდეს 2016 წლის საბიუჯეტო დაწესებულებათა ოფისის ხარჯები 1138,8 ათ. ლარი

მუხლი 9

დამტკიცდეს 2016 წლის წარმომადგენლობითი ხარჯები 30,0 ათ. ლარი.

მუხლი 10

დამტკიცდეს 2016 წლის რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯები 10,0 ათ. ლარი.

მუხლი 11

დამტკიცდეს 2016 წლის ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 504,0 ათ.



ლარი.

მუხლი 12

დამტკიცდეს 2016 წლის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება მათ შორის სარეზერვო ფონდი 1148,8 ათ. ლარი.

მუხლი 13

დამტკიცდეს 2016 წლის პროცენტი საშინაო ვალდებულებებზე 80 ათ. ლარი

მუხლი 14

გათვალისწინებული იქნეს 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდია 4999,0ათ. ლარი.

მუხლი 15

გათვალისწინებული იქნეს 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური უზრუნველყოფის წლიური ფონდი 469,0 ათ. ლარი.

მუხლი 16

გათვალისწინებული იქნეს 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვა ხარჯების ასიგნებები 439,0ათ. ლარი.

მუხლი 17

გათვალისწინებული იქნეს 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების ზრდა 247.8 ათ. ლარი.

მუხლი 18

გათვალისწინებული იქნეს 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების კლება ვალუტა და დეპოზიტები 140,0 ათ. ლარი.

მუხლი 19

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირება განხორციელდეს შემდეგ ორგანიზაციებზე:

ა) კ.ს.ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება – 3000,0 ათ. ლარი. მათ შორის დახურული ბაღების დარაჯების (2 დარაჯი) ხელფასის ასანაზღაურებლად – 7200 ლარი.

ბ) კ.ს.ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ცენტრი – 150,0 ათ. ლარი

გ) კ.ს.ა.ა.ი.პ. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“ – 422,0 ათ. ლარი

დ) კ.ს.ა.ა.ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი - 113,0 ათ. ლარი

ე) ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება. – 110,0 ათ. ლარი

ვ) ა.ა.ი.პ.„გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ 244,0 ათ. ლარი

ზ) ა.ა.ი.პ „ივანე ჯავახიშვილის სახ.გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ – 120,0 ათ.ლარი;

თ) კ.ს.ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მეგობრობის ცენტრი. _ 102,0 ათ. ლარი;

ი) კ.ს.ა.ა.ი.პ”საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა“- 210.0 ათ. ლარი,

კ)ა.ა.ი.პ “ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების ბავშვებისათვის”-160.0 ათ. ლარი

ლ) ააიპ „ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო გაერთიანება“ – 150,0 ათ. ლარი

მ) შპს. „გარდაბანგანათებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ – 150,0

ნ) შპს. „საფეხბურთო კლუბი“ – 50,0 ათ. ლარი.

მუხლი 20

დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს უზრუნველყოს უპატრონო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები – 5,0 ათ. ლარი

მუხლი 21

განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით ერთჯერადი მატერიალური დახმარებები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საოპერაციო ხარჯები, დაევალოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს ზემო აღნიშნული ღონისძიებათა დაფინანსება განხორციელოს კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად – 430,0 ათ. ლარი.

მუხლი 22



თავი I

გარდაზნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11 080,4	0.0	11080.4	11668.6	0.0	11668.6
გადასახადები	4 300,0	0.0	4300.0	6300.0	0.0	6300.0
გრანტები	4001.4	0.0	4 001,4	2389.5	0.0	2389.5
სხვა შემოსავლები	2779.0	0.0	2 779,0	2979.1	0.0	2979.1
ხარჯები	10865.2	0.0	10 865,2	12079.8	0.0	12079.8
შრომის ანაზღაურება	2585.2	0.0	2 585,2	2879.3	0.0	2879.3
საქონელი და მომსახურება	3135.7	0.0	3 135,7	3107.5	0.0	3107.5
პროცენტი	80.0	0.0	80.0	80.0	0.0	80.0
სუბსიდიები	3868.2	0.0	3 868,2	5098.0	0.0	5098.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	485.5	0.0	485,5	469.0	0.0	469.0
სხვა ხარჯები	344.0	0.0	344,0	446.0	0.0	446.0
საოპერაციო სალდო	212.7	0.0	212.7	-411.2	0.0	-411.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	72.7	0.0	72.7	308.0	0.0	308.0
ზრდა	175.2	0.0	175.2	448.0	0.0	448.0



კლება	65.0	0.0	65.0	140.0	0.0	140.0
მთლიანი სალდო	140.0	0.0	140.0	-103.2	0.0	-103.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-3,493.8	-866.1	-2,627.7	-4678.7	-604.1	-4074.6
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	3,493.8	866.1	2,627.7	4678.7	604.1	4074.6
ვალუტა და დეპოზიტები	3,493.8	866.1	2,627.7	4678.7	604.1	4074.6
ვალდებულებების ცვლილება	-124.0	0.0	-124.0	-671.6	-208.7	-462.9
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	124.0	0.0	124.0	671.6	208.7	462.9
საშინაო	124.0	0.0	124.0	671.6	208.7	462.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
თანდართული რედაქციით

დასახელება	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11180.4	0.0	11 180,4	12668.6	0.0	12668.6
შემოსავლები	11080.4	0.0	11 080,4	11668.6	0.0	11668.6
არაფინანსური აქტივების კლება	100.0	0.0	100	1000.0	0.0	1000.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	11180.4	0.0	11 180,4	12668.6	0.0	12668.6



ხარჯები	10865.2	0.0	10865.2	12079.8	0.0	12079.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	175.2	0.0	175.2	448.4	0.0	448.4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	140.0	0.0	140.0	140.0	0.0	140.0
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. გარდაზნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11668.6 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11080.4	0.0	11080.4	11668.6	0.0	11668.6
გადასახადები	4300.0	0.0	4300.0	6300.0	0.0	6300.0
გრანტები	4001.4	0.0	4001.4	2389.5	0.0	2389.5
სხვა შემოსავლები	2779.0	0.0	2779.0	2979.1	0.0	2979.1

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	4300.0	0.0	4300.0	6300.0	0.0	6300.0
ქონების გადასახადი	4300.0	0.0	4300.0	4300.0	0.0	4300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2330.0	0.0	2330.0	2.330.0	0.0	2.330.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1000.0	0.0	1000.0	1.000.0	0.0	1000.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	955.0	0.0	955.0	955.0	0.0	955.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2389.5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
გრანტები	3.815.3	4004.4	2389.5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3,815.3	4004.4	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,815.3	4001.4	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,555.3	3.741.4	2129.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260.0	260.0	260.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2979.1 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის	2015 წლის გეგმა		2016 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	



	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2.507.8	2779.0	0.0	2779.0	2979.1	0.0	2979.1
შემოსავლები საკუთრებიდან	1.085.0	1.200.0	0.0	1.200.0	1200.0	0.0	1200.0
პროცენტები	485.0	500.0	0.0	500.0	500.0	0.0	500.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
რენტა	700.0	0.0	700.0	700.0	700.0	0.0	700.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	700.0	0.0	700.0	700.0	700.0	0.0	700.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	165.0	421.0	0.0	421.0	479.1	0.0	479.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	162.5	421.0	0.0	421.0	479.1	0.0	479.1
სანებართვო მოსაკრებელი	110.0	351.0	0.0	351.0	351.0	0.0	351.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	55.0	70.0	0.0	70.0	128.1	0.0	128.1
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1.257.8	1158.0	0.0	1158.0	1300.0	0.0	1300.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12079.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------



დასახელება	2014 წლის ფაქტი	მათ შორის			სულ	მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9.634.2	10865.2	0.0	10865.2	12079.8	0.0	12079.8	
შრომის ანაზღაურება	2.736.3	2585.2	0.0	2585.2	2879.3	0.0	2879.3	
საქონელი და მომსახურება	3.344.9	3135.7	0.0	3135.7	3107.5	0.0	3107.5	
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
პროცენტი	83.0	80.0	0.0	80.0	80.0	0.0	80.0	
სუბსიდიები	2.412.2	3868.2	0.0	3868.2	5098.0	0.0	5098.0	
გრანტები	0.0	366.6	0.0	366.6	0.0	0.0	0.0	
სოციალური უზრუნველყოფა	611.5	485.5	0.0	485.5	469.0	0.0	469.0	
სხვა ხარჯები	446.3	344.0	00.0	344.0	446.0	0.0	446.0	

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 448.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები 448.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	96.7	125.5	349.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	11.0	8.0	29.8
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	30.0	30.	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.0	11.7	70.0
სულ ჯამი		137.7	175.2	448.5

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
------------	------------	-----------------	-----------------



არაფინანსური აქტივების კლება	65.0	100.0	1000.0
მირითადი აქტივები	15.0	50.0	500.0
არაწარმოებული აქტივები	50.0	50.0	500.0
მიწა	50.0	50.0	500.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც.კოდი	დასახელება	2014 ფაქტი	2015გეგმა	2016გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,504.7	4220.1	3103.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,424.7	4140.1	3030.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,324.7	2854.9	2924.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	100.0	100.0	106
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	80.0	80.	51.1
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	21.0
702	თავდაცვა	229.0	120.8	167.8
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	366.6	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	366.6	366.6	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	100.0	150.0	3750.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0



7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0.0	0.0	0.0
70443	მშენებლობა	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	100.0	150.0	3750.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	100.0	150.0	3750.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	0.0	0.0
705	გარემოს დაცვა	650.0	480.0	565.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	650.0	460.0	565.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	20.	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,020.0	1280.0	4035.0
7061	ბინათმშენებლობა	50.0	50.0	550.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	490.0	360.0	1800.0
7064	გარე განათება	450.0	450	970.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	30.0	120.0	715.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	210.0	210.0	210.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	210.0	210.0	210.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	970.0	1146.4	967.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	387.0	400.0	410.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	523.0	637.7	497.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	36.0	36.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	20.0	20.0	20.
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0
709	განათლება	1,960.0	2458.5	858.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,875.0	2348.5	777.6
7092	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	85.0	110.0	81.0
710	სოციალური დაცვა	630.0	608.0	717.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0



7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	120.0	132.0	91.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	282.5	226.0	400.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	227.5	250.0	226.0
	სულ	9,640.3	11040.4	14988.7

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -4007.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -4678.7 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 4678.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -671.6 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 260,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 210,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 35,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისა და დღეობისა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;

დ) გარდაზნის მუნიციპალიტეტისთვის ქლორიანი კირის შეძენა – 10,0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

გარდაზნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება



ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით გარდაბნის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია (მოასფალტება), სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, ქალაქის და სოფლების დაზიანებული გზების ორმული შეკეთება, მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობის ქალაქის და სოფლების ცენტრალური გზების თანადაფინანსება. მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების მომზადება, მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

2.2.1 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ გარდაბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სატუმბო-სადგურების მოვლა-პატრონობა.

2.2.2. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

2.2.3 დასუფთავების ღონისძიებები



პროგრამა მოიცავს ქალაქი გარდაბნის და სოფლების დაგვა-დასუფთავებას და მონახვეტის გატანას, ასევე გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და მის გატანას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.2.4. ბინათმშენებლობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.3.1. კეთილმოწყობის ხარჯები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები .

2.3.2 ააიპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო გაერთიანება“

პროგრამის ფარგლებში განხორციელებს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის მაშტაბით ყველა ასაკის მგზავრების სატრანსპორტო და საინფორმაციო მომსახურების გაწევას, ავტოსატრანსპორტო მომსახურების გაწევა სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ავტოსატრანსპორტო ფასიანი მომსახურების ფორმებისა და საფასურის დაწესებას, პარკირების წესის დანერგვას, დაცვას და განვითარებას, ქუჩებში და საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და შესაბამისი წინადადების შემუშავებას, ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობას, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების შემუშავებას, ადგილობრივი რეგულარული გადაყვანის მარშრუტის დადგენისას მარშრუტზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების გაჩერების ადგილების მოწესრიგება, შესაბამისი საგზაო ნიშნით და ასევე სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, შუქნიშნების, ვიდეოკამერების, და სხვა საგზაო ნიშნების განთავსებას და მოვლა-პატრონობას, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მონიშვნის ნიშნების სამუშაოების შესრულება, ელექტრონული საინფორმაციო დაფების განლაგების დაგეგმარებას, განლაგებას და მართვას.

ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსახლეობის ავტოსატრანსპორტო მომსახურების გაწევასა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას.

2.3.2 გამწვანებისა და გადახელვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია, რაც უწყობს ხელს სოფლების განვითარებისათვის და ხელშეწყობისთვის.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში



განხორციელებს ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

3.1 ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღებში დაწყებით განათლებას იღებს 2800 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

3.2. ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის მასშტაბით სუბსიდირება ახალგაზრდა თაობის, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეპროგრამის დაფინანსებით ხელი ეწყობა ახალგაზრდა თაობაში ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენას.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას

4.1.1 სპორტული ღონისძიებების

ქვეპროგრამის მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც უდავოა რომ ასახვას ჰპოვებს შემდგომ ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

4.1.2 სპორტული სკოლების გაერთიანება

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება სპორტსმენების სწავლების დაფინანსება. ქვეპროგრამის განხორციელებით იზრდება დაინტერესება ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარმატებული სპორტსმენები შემდგომ უზრუნველყოფენ რაიონის სახელის გატანას ქვეყნისა და ასევე მსოფლიო დონეზე. მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

